

ნორმის პირველი ვერსია შეიმუშავა ვ თოფურიამ, გამოქვეყნებულია 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“.

### ნორმის პროექტის ახალი რედაქცია მოამზადა ქეთევან დათუკიშვილმა.

პროექტი განხილულია თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ (2022 წლის 22 ნოემბერს) და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2022 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე.

## ვე, ვე, ღა, ღაცა ნაცილაკიან სახელთა მართლცორა

ნაცვალსახელებსა და რიცხვით სახელებში ვე, ვე, ღა, ღაცა ნაწილაკების გამოყენებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

- 1.1. **მე-ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელებს (ვინმე, რამე // რაიმე, რამდენიმე, რომელიმე)** აქვთ ბრუნების სრული პარადიგმა; რამე ნაცვალსახელისგან ნაწარმოები ებიანი მრავლობითის ფორმები (**რამები, რამებს...**) ნარმოების ძირითად ტიპს განეკუთვნება, ხოლო **ვინმე** ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმები (**ვინმები, ვინმებმა...**) დასაშვებად არის მიჩნეული.
- 1.2. **რაიმე** ნაცვალსახელის ფორმები დასაშვებად მიიჩნევა როგორც მსაზღვრელის ფუნქციით ხმარებისას (**რაიმე ამბავი, რაიმე საკითხი...**), ისე ცალკე გამოყენების შემთხვევაში (**რაიმეს იტყვის, რაიმე ვიღონოთ...**); სახელობით ბრუნვაში მართებულია **რამ** ვარიანტიც (**ბევრი რამ მოხდა...**).
- 2.1. **ღა-ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები (ვიღა, რაღა)** ფუძეულებელია: **ვიღა-ს-ი, რაღა-ს-ი...** მათ აქვთ ბრუნების სრული პარადიგმა.
- 2.2. სახელობითი ბრუნვის ფორმები **რაღაც და ვიღაც** (**ისევე, როგორც რაღაცა და ვიღაცა**) სალიტერატურო ენის მართებული ვარიანტებია.
- 2.3. **ღაცა-ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები (ვიღაცა, რაღაცა, რომელიღაცა, რამდენიღაცა, როგორიღაცა)** ფუძეულებადია: **ვიღაც-ის, რაღაც-ის...** ებიან მრავლობითშიც ისინი წარმოდგენილი იქნება შეკვეცილი სახით: **ვიღაცები, რაღაცები...**
- 3.1. **ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამდენი, მაგდენი, იმდენი და ყოველი ნაცვალსახელთაგან წარმოებული ვე-ნაწილაკფუძიანი ფორმები (ასეთივემ, ასეთივეს, ამდენივემ, ამდენივეს...)** ძირითადი სახეობაა, ვე-ნაწილაკდართულები (**ასეთმავე, ასეთსავე, ამდენმავე, ამდენსავე...**) კი – დასაშვები ვარიანტები;
- 3.2. **მართებულია ეს, ეგ ის, იგი ნაცვალსახელთაგან ნაწარმოები ორი სახის ფორმები: ვე-ნაწილაკდართული (ამანვე, იმანვე, ამასვე, იმასვე, ამაზევე, იმაზევე...)** და **ვე-ნაწილაკფუძიანი (ამავემ, იმავემ, ამავეს, იმავეს, ამავეზე, იმავეზე...)**.
- 3.4. **მართებულია რიცხვით სახელთა ვე-ნაწილაკფუძიანი წარმოება: ორივემ, ორივეს, ორივესთვის...**

**შენიშვნა:** სემანტიკური სხვაობის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იყოს რიცხვით სახელთა ვე-ნაწილაკდართული ფორმები: **ორსვე, შვიდზევე, ათშივე...**

### დასაბუთება

**მე, ვე, ღა, ღაცა ნაწილაკების გამოყენებისას ნორმატიული პრობლემები ჩნდება იმ შემთხვევაში, როდესაც მე, ღა, ღაცა, ვე ნაწილაკები დაერთვის ნაცვალსახელებს ანდა ვე ნაწილაკი – რიცხვით სახელებს. გამოყოფენ ბრუნების სამ სახეობას:**

- შეუხორცებელი (ნაწილაკშეუზრდელი), როდესაც ბრუნებისას იცვლება სახელი და ნაწილაკი დაერთვის ბრუნვის ფორმას: სახელის ფუძე + ბრუნვის ნიშანი + ნაწილაკი: **ორ-ს-ა-ვე, რა-ს-მე, რა-ს-ლა...** ამგვარი წარმოება ძველი ქართულისთვის იყო დამახასიათებელი;
- შეხორცებული (ნაწილაკშეზრდილი), როდესაც ბრუნვის ნიშანი ნაწილაკის შემდეგ მოდის, ნაწილაკი ფუძესაა შეხორცებული და სახელი ნაწილაკთან ერთად იბრუნვის: სახელის ფუძე + ნაწილაკი + ბრუნვის ნიშანი: **ორივე-ს, რამე-ს, რალა-ს...**
- ნარევი სახეობა, როდესაც ბრუნვის ნიშანი დაერთვის სახელს ნაწილაკის წინაც და ნაწილაკის შემდეგაც: სახელის ფუძე + ბრუნვის ნიშანი + ნაწილაკი + ბრუნვის ნიშანი: **ორ-ს-ა-ვე-ს, ვი-ს-მე-ს, რა-ს-მე-ს...**

აღნიშნული სამი სახეობის ფორმები (**ვისმე – ვინმეს – ვისმეს...**) „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ (თბილისი, 1970) განიხილება პარალელურ ვარიანტებად და განსაზღვრულია, რომელია თანამედროვე ქართულისათვის მისაღები და რომელი – არა. კერძოდ:

- **ძირითად** ვარიანტებად მიჩნეულია შეხორცებული სახეობის ფორმები: ვინმემ, ვინმეს... რამემ, რამეს... ორივემ, ორივეს...
- **დასაშვებად** მიჩნევა შეუხორცებელი სახეობის ვარიანტები: ვისმე... რასმე, რადმე... ორმავე, ორსავე...
- **უარსაყოფად** განიხილება ნარევი სახეობის ფორმები: ვისმეს, რასმეს...

ნარევი სახეობა წარმოების თვალსაზრისით არასწორია, შესაბამისად, ის უმართებულოდ არის მიჩნეული. რაც შეეხება ე. ნ. შეუხორცებელ (**ორსავე, ვისმე, რასმე...**) და შეხორცებულ (**ორივეს, ვინმეს, რამეს...**) სახეობათა ფორმებს, აქ საქმე გვაქვს წარმოების თვალსაზრისით ორ განსხვავებულ ერთეულთან, კერძოდ:

1. **ორსავე, რასმე** და მსგავს ვარიანტებში ბრუნვის ფორმას დაერთვის **ვე** და **მე** ნაწილაკები: ორ-ი-ვე, ორ-მა-ვე, ორ-ს(ა)-ვე... რა-მე, რა-ს-მე, რ-ის(ა)-მე... ესენი ისეთივე ნაწილაკიანი ფორმებია, როგორიც შემდეგი არსებითი სახელები: კაც-ი-ვე, კაც-მა-ვე, კაც-ს(ა)-ვე... ძმა-ვე, ძმა-მ-ვე, ძმა-ს-ვე, ძმ-ის-ვე...
2. **ორივეს, რამეს** და მსგავს შემთხვევებში კი ნაწილაკდართულია არა ფორმა, არამედ ფუძე: ორივე-მ, ორივე-ს.. რამე-მ, რამე-ს... ამგვარ ვარიანტებში ნაწილაკი ფუძის ნაწილია, ფუნქციურად იგი ფუძის მანარმოებელი აფიქსია.

ტერმინები „ფუძეს შეზრდილი“ და „ფუძეს შეხორცებული“ ვერ ასახავს პროცესის არსს. ორი ტიპის ფორმათა (ერთი მხრივ – **ორსავე, ვისმე** და მეორე მხრივ – **ორივეს, ვინმეს**) გასამიჯნად, **შეუხორცებელ** და **შეხორცებულ** სახეობათა ნაცვლად, შესაძლოა გამოვიყენოთ შემდეგი ტერმინები: **ნაწილაკდართული** და **ნაწილაკფუძიანი**. ე. ნ. „შეუხორცებელი სახეობის“ შემთხვევაში ნაწილაკი დაერთვის ბრუნვის ან თანდებულიან ფორმას, შესაბამისად, ვიღებთ ნაწილაკდართულ ვარიანტებს, ხოლო „შეხორცებული სახეობის“ შემთხვევაში ნაწილაკიანია არა ფორმა, არამედ ფუძე, ამგვარ სახელებს შეიძლება **ნაწილაკფუძიანი** ვუწოდოთ. (კარგად ცნობილი ტერმინების – ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი – ანალოგით). **ნაწილაკფუძიანის** ნაცვლად შესაძლოა გამოვიყენოთ აგრეთვე **ფუძენაწილაკიანი** (შდრ. ფუძეხმოვნიანი, ფუძეთანხმოვნიანი).

**ნაწილაკდართული** ფორმა: ფუძე + ბრუნვის ნიშანი + ნაწილაკი: **რა-ს-მე**

**ნაწილაკფუძიანი** ფორმა: რთული ფუძე (მარტივი ფუძე + ნაწილაკი) + ბრუნვის ნიშანი: **რამე-ს**

ნაწილაკდართული ფორმების (**ორსავე, ვისმე, რასმე...**) წარმოება ძველი ქართულისათვის იყო დამახასიათებელი, ნაწილაკფუძიან სახელთა (**ორივეს, ვინმეს, რამეს...**) წარმოება კი აქტიურია თანამედროვე ქართულში. ამ ორი სხვადასხვა წარმოების ფორმები სემანტიკურად ერთგვარია, ამ-

იტომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი პარალელურ ვარიანტებს წარმოადგენს. სინამდვილეში ამ ორი სახეობის ფორმები სხვადასხვა წარმოების გზით არის მიღებული. როდესაც ნორმატიულ საკითხებზეა მსჯელობა, საკითხი უნდა დაისვას ამგვარად:

1. არის თუ არა ნაწილაკდართული ფორმების (**ვისმე, რასმე...**) წარმოება აქტიური თანა-მედროვე ქართულში;
2. ყველა შემთხვევაში შეიძლება თუ არა მათი ჩანაცვლება ნაწილაკფუძიანი ვარიანტებით. თუ ნაწილაკდართულ ფორმათა სიხშირე მნიშვნელოვნად დაბალია, ამასთან, მათი ჩანაცვლება ყველგან შესაძლებელია ნაწილაკფუძიანი ვარიანტებით, მაშინ ნაწილაკდართული ნაცვალ-სახელები და რიცხვითი სახელები (**ვისმე, ორსავე...**) არ უნდა განვიხილოთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ერთეულებად.

ამ თვალსაზრისით მოვიძიეთ მასალა ქართული ენის ეროვნულ კორპუსში. რადგან საკითხის შესასწავლად საჭიროა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მონაცემების გათვალისწინება, საანალიზოდ გამოვიყენეთ „ქართული ენის რეფერენციალური კორპუსი“. განვიხილავთ თითოეული ნაწილაკით წარმოებულ ფორმებს და წარმოვადგენთ მათ სტატისტიკურ მონაცემებს.

### **მე ნაწილაკის გამოყენება ნაცვალსახელებში**

**მე** ნაწილაკი დაერთვის კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნვის ფორმებს. **ვინ** ნაცვალსახელს ნაკლული პარადიგმა აქვს, შესაბამისად, მისი **მე-ნაწილაკდართული ფორმებიც** ნაკლულ პარადიგმას ქმნის; **რა** ნაცვალსახელი მოთხოვობით ბრუნვაში არ დაირთავს **მე ნაწილაკს**, დანარჩენ ბრუნვათა ფორმები კი ჩვეულებრივ ეწარმოება.

სახ.	ვინ-მე	რა-მე
მოთხ.	-	-
მიც.	ვი-ს-მე	რა-ს-მე
ნათ.	-	რ-ის-ა-მე
მოქმ.	-	რ-ით-მე
ვით.	-	რა-დ-მე

რაც შეეხება მრავლობით რიცხვს, **რამე** ნაცვალსახელი ეპიანი მრავლობითის ფორმით აქტიურად გამოიყენება. საანალიზო მასალაში 2348 ამგვარი შემთხვევა დადასტურდა, **ვინმე** ნაცვალსახელი კი მრავლობითი რიცხვის ფორმით იშვიათად გვხვდება (სულ – 38 შემთხვევა); ეს უკანასკნელი ვარიანტები (**ვინმები, ვინმეებს...**) შეიძლება დასაშვებად იყოს მიჩნეული.

**მე** ნაწილაკი დაერთვის აგრეთვე **რომელი** და **რამდენი** კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნვის ფორმებს: **რომელიმე, რამდენიმე, რომელსამე, რომლისამე, რამდენსამე...** მათი პარადიგმები სრულია, მაგრამ იქიდან თანამედროვე ქართულში მხოლოდ რამდენიმე ბრუნვის ფორმა დასტურდება, ისიც – დაბალი სიხშირით.

თანდებულიან ფორმათაგან **მე ნაწილაკი** ზოგს დაერთვის ზოგს – არა. საანალიზო მასალაში შეგვხდა ამგვარი ვარიანტები: **ვისთვისმე, ვისგანმე, რისთვისმე, რისგანმე...** არ დასტურდება შემდეგი ფორმები: **ვისზემე, ვისშიმე, რაზემე, რომელზემე, რამდენზემე, რამდენშიმე...**

**მე ნაწილაკით იწარმოება ნაწილაკფუძიანი (განუსაზღვრელობითი) ნაცვალსახელები:**

ვინ	->	ვინმე
რა	->	რამე // რაიმე
რომელ-ი	->	რომელიმე
რამდენ-ი	->	რამდენიმე

**რაიმე** ნაცვალსახელის შესახებ „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ ნათქვამია: „მსაზღვრელად გამოყენების შემთხვევაში **რაიმე** დასაშვებია ყველა ბრუნვაში“, ფალკე გამოყენებული ბრუნვის ფორმები (**რაიმემ**, **რაიმეს**, **რაიმედ**...) კი სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით უარსაყოფად არის მიჩნეული.

უნდა ითქვას, რომ დღეისათვის **რაიმე** ნაცვალსახელი (ცალკე აღებული) თანდათანობით იფართოებს გამოყენების სფეროს. ქართული ენის ეროვნულ კორპუსში რთულია ამ ნაცვალსახელის ზუსტი სტატისტიკური მონაცემების მოძიება: კონტექსტის გარეშე ავტომატურად ვერ იმიჯნება მსაზღვრელად გამოყენებული და ცალკე აღებული სახელობითი ბრუნვის ფორმები (**რაიმე**), მაგრამ ზოგადი დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ **რაიმე** ნაცვალსახელის ცალკე გამოყენების შემთხვევები საკმაოდ მრავლად დასტურდება: „ეგებ კიდევ გამოვიდეს **რაიმე შენგან**“; „ვერ ვძედავდი **რაიმე** მეკითხა“; „ვაითუ დათვი **რაიმემ გააცოფა**“; „რაკი ერთხელ შეგეკითხებოდათ **რაიმეს**, აღარ დაგეხსნებოდათ“...

ამ მონაცემების გათვალისწინებით თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში **რაიმე** ნაცვალსახელის ფორმები დასაშვებად უნდა იყოს მიჩნეული როგორც მსაზღვრელად, ისე ცალკე გამოყენების შემთხვევაში.

სახელობით ბრუნვაში **რამე** და **რაიმე** ფორმათა პარალელურად დასტურდება **რამ** ვარიანტიც: „ცოტა **რამ** თვითონ მიამბო“; „ერთად ბევრი **რამ** გადაგვიტანია“; „უალრესად საყურადღებო **რამ** შევიტყვე“...

**მე-ნაწილაკფუძიანი** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები ხმოვანფუძიანია, მათ აქვთ ბრუნების სრული პარადიგმა. ამასთან, **რამე** კვეცადია, ყველა დანარჩენი – უკვეცელი.

სახ.	ვინმე	რამე	რომელიმე	რამდენიმე
მოთხრ.	ვინმე-მ	რამე-მ	რომელიმე-მ	რამდენიმე-მ
მიც.	ვინმე-ს	რამე-ს	რომელიმე-ს	რამდენიმე-ს
ნათ.	ვინმე-ს	რამ-ის	რომელიმე-ს	რამდენიმე-ს
მოქმ.	ვინმე-თი	რამ-ით	რომელიმე-თი	რამდენიმე-თი
ვით.	ვინმე-დ	რა-მე-დ	რომელიმე-დ	რამდენიმე-დ
წოდ.	–	–	–	–

**მე-ნაწილაკფუძიანი** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები დაირთავს თანდებულებს ისევე, როგორც შესაბამისფუძიანი არსებითი სახელები: **ვინმეზე**, **რამესთან**, **რაიმესთვის**, **რომელიმედან**, **რამდენიმესგან**...

**მე-ნაწილაკდართული** და **მე-ნაწილაკფუძიანი** ფორმები ერთი სემანტიკისაა, ამიტომ **მე-ნაწილაკდართულები** შესაძლოა ჩავანაცვლოთ **მე-ნაწილაკფუძიანებით**. მაგალითად:

არც არავის ბრძანება გაუცია, არც **ვისმე** ხმა დაუძრავს. – აქ შესაძლოა ჩანაცვლება: არც **ვინმეს** ხმა დაუძრავს;

მაშინ ნახავთ, თუ **ვისმე** დაგაცადოთ მისი ტრფობა! – აქ შესაძლოა ჩანაცვლება: მაშინ ნახავთ, თუ **ვინმეს** დაგაცადოთ მისი ტრფობა!

გავზრდი, შევასწავლი **რასმე** და მერე პატრონი მოვუძებნოთ. – აქ შესაძლოა ჩანაცვლება: გავზრდი, შევასწავლი **რამეს** და მერე პატრონი მოვუძებნოთ...

წარმოვადგენთ სტატისტიკურ მონაცემებს.

მე-ნაწილაკდართული		მე-ნაწილაკფუძიანი	
ვისმე	568	ვინმეს	15744
რასმე	857	რამეს	10803
რისამე	150	რამის	4165
რითმე	8	რამით	796
რადმე	40	რამედ	457
რომელმამე	3	რომელიმებ	128
რომელსამე	291	რომელიმეს	574
რომლითამე	1	რომელიმეთი	2
რომლადმე	0	რომელიმედ	1
რამდენმამე	20	რამდენიმემ	210
რამდენსამე	215	რამდენიმეს	578
რამდენადმე	1244	რამდენიმედ	9
ვისთანმე	22	ვინმესთან	694
ვისთვისმე	47	ვინმესთვის	935
ვისგანმე	21	ვინმესგან	184
ვისკენმე	0	ვინმესკენ	13
რასთანმე	0	რამესთან	198
რისთვისმე	7	რამისთვის	202
რისგანმე	5	რამისგან	45
რისკენმე	0	რამისკენ	22
ჯამი	3499 – 8.9%	ჯამი	35738 – 91.1%

როგორც მასალიდან ჩანს, მე-ნაწილაკფუძიანი ფორმები თანამედროვე ქართულში უფრო აქტიურად გამოიყენება, ვიდრე მე-ნაწილაკდართულები. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მე-ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად დიდია, არის „რამდენადმე“, მაგრამ ეს სიტყვა არ იხმარება რამდენიმე ნაცვალსახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმის (რამდენიმედ) მნიშვნელობით, არამედ მას აქვს ზმნისართული შინაარსი: რამდენადმე – გარკვეულწილად, მეტ-ნაკლებად. მაშასადამე, რამდენადმე თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის მისაღებია ზმნისართის (და არა ვითარებითი ბრუნვის ფორმის) მნიშვნელობით.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით შეიძლება ითქვას შემდეგი:

- მე-ნაწილაკფუძიან ნაცვალსახელებს აქვთ ბრუნების სრულ პარადიგმა (ვინმემ, რამემ...), დაირთავენ ყველა თანდებულს (ვინმესთან, რამისთვის...); მე-ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა პარადიგმა კი ზოგ შემთხვევაში არასრულია (ვისმე, რასმე...), თან-დებულიანი ფორმები მათ იშვიათად ენარმოებათ;
- მე-ნაწილაკფუძიანი ფორმები რაოდენობით მნიშვნელოვნად სჭარბობს ნაწილაკდართულებს;
- მე-ნაწილაკდართული ნაცვალსახელები ყველა შემთხვევაში შეგვიძლია ჩავანაცვლოთ

ნაწილაკფუძიანებით.

ამ მონაცემთა გათვალისწინებით თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მართებულ ვარიანტებად უნდა განვიხილოთ **მე-ნაწილაკფუძიანი** ნაცვალსახელები (**ვინმეს, რამეს...**), **მე-ნაწილაკდართულები** (**ვისმე, რასმე...**) კი – არა. ეს უკანასკნელი მოძველებული ფორმებია, ამიტომ უარსაყოფის.

### **ლა, ლაცა ნაწილაკთა გამოყენება ნაცვალსახელებში**

**ლა** ნაწილაკი დაერთვის კითხვით ნაცვალსახელთა (**ვინ და რა**) ბრუნვის ფორმებს. როგორც ცნობილია, **ვინ**-ს ნაკლული პარადიგმა აქვს, შესაბამისად, მისი **ლა-ნაწილაკდართული** ფორმებიც ნაკლულ პარადიგმას ქმნიან; **რა** ნაცვალსახელს აქვს **ლა-ნაწილაკდართული** სრული პარადიგმა:

სახ.	ვი(ნ)-ლა	რა-ლა
მოთხ.	–	რა-მ-ლა
მიც.	ვი-ს-ლა	რა-ს-ლა
ნათ.	–	რ-ის-ლა
მოქმ.	–	რ-ით-ლა
ვით.	–	რა-დ-ლა

**ვინ და რა** ნაცვალსახელებისგან იწარმოება **ლა-ნაწილაკდართული** თანდებულიანი ფორმებიც: ვისთანდა, რისთვისლა...

### **ლა ნაწილაკით იწარმოება ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები:**

ვი	→	ვილა
რა	→	რალა

**ლა-ნაწილაკფუძიანი** ნაცვალსახელები ხმოვანფუძიანია და უკვეცელი, მათ აქვთ ბრუნების სრული პარადიგმა:

სახ.	ვილა	რალა
მოთხ.	ვილა-მ	რალა-მ
მიც.	ვილა-ს	რალა-ს
ნათ.	ვილა-ს	რალა-ს
მოქმ.	ვილა-თი	რალა-თი
ვით.	ვილა-დ	რალა-დ

**ლა-ნაწილაკფუძიანი** ნაცვალსახელები დაირთავს ყველა თანდებულს ისევე, როგორც შესაბამისფუძიანი არსებითი სახელები: **ვილაზე, ვილასთან, რალაში, ვილასთვის, რალასგან...**

თანამედროვე ქართულში გამოიყენება ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვათა არასწორი წარმოების ფორმები: **რილასი** და **რილათი**. ისინი მიღებულია კონტამინაციის გზით:

<b>რისლა</b>	და	<b>რალასი</b>	→	<b>რილასი</b>
<b>რითლა</b>	და	<b>რალათი</b>	→	<b>რილათი</b>

ამგვარი ფორმები უმართებულოა. შესაბამისად, არასწორი წარმოებისაა შემდეგი თანდებულიანი ნაცვალსახელებიც: **რილასთვის, რილასგან...**

**ლა-ნაწილაკდართული** და **ლა-ნაწილაკფუძიანი** ნაცვალსახელები ერთი სემანტიკისაა, ამიტომ **ლა-ნაწილაკდართული** ფორმები ყოველთვის შეიძლება ჩავანაცვლოთ **ლა-ნაწილაკფუძიანი** ვარიანტებით.

**ვისლა** აგონდებოდა ბუდე და ბარტყები?! – აქ შესაძლოა ჩანაცვლება: **ვილას** აგონდებოდა ბუდე და ბარტყები?!

თუ აგრეა, **რამლა** უნდა გვიშველოს? – აქ შესაძლოა ჩანაცვლება: თუ აგრეა, **რალამ** უნდა გვიშველოს?

**რადლა** უნდოდა თუნდ ის აუარებელი სამკაული?! – აქ შესაძლოა ჩანაცვლება: **რალად** უნდოდა თუნდ ის აუარებელი სამკაული?!..

წარმოვადგენთ **ლა-ნანილაკდართულ** და **ლა-ნანილაკფუძიან** ნაცვალსახელთა სტატისტიკურ მონაცემებს.

<b>ლა-ნანილაკდართული</b>		<b>ლა-ნანილაკფუძიანი</b>	
ვისლა	147	ვილას	628
რამლა	14	რალამ	106
რასლა	15	რალას	2615
რითლა	36	რალათი	4
რადლა	51	რალად	594
ვისგანლა	4	ვილასგან	1
ვისთვისლა	5	ვილასთვის	15
რისგანლა	15	რალასგან	0
რისთვისლა	68	რალასთვის	13
ჯამი	355 – 8.2%	ჯამი	3976 – 91.8%

როგორც მასალიდან ჩანს, **ლა-ნანილაკფუძიანი** ფორმები მნიშვნელოვნად სჭარბობს **ლა-ნანილაკდართულებს**. ნანილაკდართული ფორმა რაოდენობით აჭარბებს ნანილაკფუძიანს მხოლოდ მოქმედებით ბრუნვაში: **რითლა**, აგრეთვე თანდებულიან ფორმებში: **ვისგანლა**, **რისგანლა**, **რისთვისლა**. მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ასეთ შემთხვევებში მრავლად არის გამოყენებული ნანილაკფუძიანი უმართებულო ფორმები: **რილათი** – 77, **რილასგან** – 1; **რილასთვის** – 64. ეს ფორმები საღიტერატურო ენისთვის მიუღებელია, მაგრამ ისინი გამოხატავენ ტენდენციას, რომ თანამედროვე ქართულში ნანილაკფუძიანი ნაცვალსახელები უფრო აქტიურად იყოს გამოყენებული, ვიდრე ნანილაკდართულები.

**ლა-ნანილაკფუძიანი** ნაცვალსახელებს შემდგომ განუვითარდათ **ც-ნანილაკიანი** ფორმები, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის მნიშვნელობა: **ვილამაც**, **ვილასაც**, **რალასაც**... როგორც ცნობილია, კითხვით ნაცვალსახელებზე **ც** ნანილაკის დართვით მიიღება მიმართებითი ნაცვალსახელები (**ვინც**, **რაც**, **რომელიც**...), **ლა-ნანილაკფუძიან** ნაცვალსახელებზე **ც-ს** დართვით კი ვიღებთ განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებს (**ვილამაც**, **რალამაც**...). ამ ტიპის ფორმები (გარდა სახელობითი ბრუნვისა) თანამედროვე ქართულში ნაკლებად გამოიყენება.

ენაში გაჩნდა კიდევ ახალი წარმოება: ზემოთ განხილულ ნაცვალსახელებში **ლაც** დაბოლოებას დაემატა ემფატიკური **ა** და მივიღეთ წარმოქმნილ ფუძეთა კიდევ ახალი ვარიანტები, შესაბამისად – **ლაცა-ნანილაკფუძიანი** სახელები:

- ვი → ვილაცა
- რა → რალაცა
- რომელი → რომელილაცა
- რამდენი → რამდენილაცა
- როგორი → როგორილაცა

ეს ნაცვალსახელები ქმნიან ბრუნების სრულ პარადიგმას.

**ვიღაცა** და **რაღაცა** ნაცვალსახელები ფუძეკვეცადია; მრავლობით რიცხვში გვექნება: **ვიღაცები, რაღაცები** (და არა: ვიღაცეები და რაღაცეები).

სახ.	ვიღაცა	ვიღაც-ებ-ი	რაღაცა	რაღაც-ებ-ი
მოთხ.	ვიღაცა-მ	ვიღაც-ებ-მა	რაღაცა-მ	რაღაც-ებ-მა
მიც.	ვიღაცა-ს	ვიღაც-ებ-ს	რაღაცა-ს	რაღაც-ებ-ს
ნათ.	ვიღაც-ის	ვიღაც-ებ-ის	რაღაც-ის	რაღაც-ებ-ის
მოქმ.	ვიღაც-ით	ვიღაც-ებ-ით	რაღაც-ით	რაღაც-ებ-ით
ვით.	ვიღაცა-დ	ვიღაც-ებ-ად	რაღაცა-დ	რაღაც-ებ-ად

**ლაცა-ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელებისგან იწარმოება თანდებულიანი ფორმებიც:** **ვიღაცასავით, ვიღაცისთვის... რაღაცისგან, რაღაცამდე...**

**ლაც-ნაწილაკდართული ფორმები** (**ვისლაც, რასლაც, რითლაც...**) საანალიზო მასალაში მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში დადასტურდა. პარალელურად არსებული ფორმებიდან (**ვიღამაც და ვიღაცამ**) ორივე ნაწილაკფუძიანია. მათ შორის სხვაობა ისაა, რომ **ვიღამაც** არის **ლა-ნაწილაკფუძიანი ფორმა, რომელსაც ც ნაწილაკი დაერთვის, ხოლო ვიღაცამ ფორმა ლაცა-ნაწილაკფუძიანია.**

ცხადია, რომ **ვიღაც და ვიღაცა** სხვადასხვა წარმოების ერთეულებია: **ვიღაც ფორმაში ფუძეა ვიღა, ც კი ნაწილაკია, ხოლო ვიღაცა ფორმაში ფუძეა ვიღაცა.** მათ განსხვავებული ფუძეები აქვთ და შესაბამისად, სხვადასხვა პარადიგმის წევრებია:

სახ.	ვიღა-ც	ვიღაცა	რაღა-ც	რაღაცა
მოთხ.	ვიღა-მ-ა-ც	ვიღაცა-მ	რაღა-მ-ა-ც	რაღაცა-მ
მიც.	ვიღა-ს-ა-ც	ვიღაცა-ს	რაღა-ს-ა-ც	რაღაცა-ს
ნათ.	ვიღა-ს-ი-ც	ვიღაც-ის	რაღა-ს-ი-ც	რაღაც-ის
მოქმ.	ვიღა-თი-ც	ვიღაც-ით	რაღა-თი-ც	რაღაც-ით
ვით.	ვიღა-დ-ა-ც	ვიღაცა-დ	რაღა-დ-ა-ც	რაღაცა-დ

წარმოვადგენთ ამგვარ ფორმათა განაწილების სტატისტიკას საანალიზო მასალის მიხედვით.  
**სახელობითი ბრუნვის ფორმები**

ვიღაც	12240	ვიღაცა	3026
რაღაცა	66701	რაღაცა	5026
ჯამი	78 941	ჯამი	8 052

#### **დანარჩენი ბრუნვის ფორმები**

ლა-ნაწილაკფუძიანი და ც-ნაწილაკიანი		ლაცა-ნაწილაკფუძიანი	
ვიღამაც	39	ვიღაცამ	4611
ვიღასაც	14	ვიღაცას	5651
ვიღასიც	4	ვიღაცის	3160
ვიღათიც	0	ვიღაცით	11
რაღამაც	16	რაღაცამ	346
რაღასაც	30	რაღაცას	7157
რაღასიც	1	რაღაცის	2956
რაღათიც	0	რაღაცით	1321
ჯამი	104 – 0.1%	ჯამი	25 213 – 99.9%

უნდა აღინიშნოს, რომ ვილამაც, ვილასაც და მსგავსი ფორმები ძირითადად XIX საუკუნის მწერალთა (ილია ჭავჭავაძის, ნიკო ლომოურის, ალექსანდრე ყაზბეგის...) ნაწარმოებებში დასტურდება. XX საუკუნის ტექსტებში ისინი აღარ გვხვდება.

ნარმოდგენილი მასალის მიხედვით შეიძლება ითქვას შემდეგი:

- **ლა-ნაწილაკფუძიანი** ნაცვალსახელები ქმნიან ბრუნების სრულ პარადიგმას (**ვილამ, რალამ...**), **ვინ** ნაცვალსახელის **ლა-ნაწილაკდართული** პარადიგმა კი არასრულია (**ვილა, ვისლა...**);
- **ლა-ნაწილაკფუძიანი** ფორმები (**ვილას, რალას...**) რაოდენობით მნიშვნელოვნად სჭარბობს ნაწილაკდართულებს (**ვისლა, რასლა...**);
- **ლა-ნაწილაკდართული** ნაცვალსახელები ყველა შემთხვევაში შეგვიძლია ჩავანაცვლოთ ნაწილაკფუძიანებით;
- **ლაცა-ნაწილაკფუძიანი** ნაცვალსახელები (**ვილაცამ, ვილაცას...**) რაოდენობით მნიშვნელოვნად სჭარბობს ლა-ნაწილაკფუძიან ფორმებს, რომლებსაც **ც** ნაწილაკი დაერთვის (**ვილამაც, ვილასაც...**);
- სახელობითი ბრუნვის ფორმები **რალაც** და **ვილაც** (**ისევე, როგორც რალაცა და ვილაცა**) თანამედროვე ქართულში საკმაოდ გავრცელებულია; ამიტომ ორივე ვარიანტს მართებული ფორმის კვალიფიკაცია უნდა მიეცეს.

ამ მონაცემთა გათვალისწინებით თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მართებულ ვარიანტებად უნდა განვიხილოთ **ლა-** და **ლაცა-**ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები (**ვილას, რალას, ვილასთან, რალასთვის... ვილაცას, რალაცას, ვილაცასთან, რალაცისთვის...**) ხოლო **ლა-ნაწილაკდართული** ნაცვალსახელები (**ვისლა, რასლა...**), აგრეთვე **ლა-ნაწილაკფუძიანი** ვარიანტები, რომლებსაც **ც** ნაწილაკი დაერთვის (**ვილასაც, რალასაც...**), მოძველებული ფორმებია, ამიტომ ისინი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ერთეულებად არ განიხილება.

**ვე** ნაწილაკის გამოყენება ნაცვალსახელებსა და რიცხვით სახელებში ვე ნაწილაკი დაერთვის შემდეგ ნაცვალსახელთა ბრუნვის ფორმებს: **ეს ეგ, ის, იგი, ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამდენი, მაგდენი, იმდენი და ყოველი.** მათ სრული პარადიგმა აქვთ.

სახ.	ასეთ-ი-ვე	ამდენ-ი-ვე	ისეთ-ი-ვე	ყოველ-ი-ვე
მოთხ.	ასეთ-მა-ვე	ამდენ-მა-ვე	ისეთ-მა-ვე	ყოველ-მა-ვე
მიც.	ასეთ-ს-ვე	ამდენ-ს-ვე	ისეთ-ს-ვე	ყოველ-ს-ვე
ნათ.	ასეთ-ის-ვე	ამდენ-ის-ვე	ისეთ-ის-ვე	ყოვლ-ის-ვე
მოქმ.	ასეთ-ით-ვე	ამდენ-ით-ვე	ისეთ-ით-ვე	ყოვლ-ით-ვე
ვით.	ასეთ-ად-ვე	ამდენ-ად-ვე	ისეთ-ად-ვე	ყოვლ-ად-ვე

ამგვარადვე იბრუნვის **ეგეთი, მაგდენი და იმდენი.**

აღნიშნული ნაცვალსახელებისგან **ვე** ნაწილაკით იწარმოება ახალი ფუძეები და შესაბამისად – ნაწილაკფუძიანი ფორმები, რომლებიც ქმნიან ახალ პარადიგმებს:

ასეთ-ი	→	ასეთივე
ეგეთ-ი	→	ეგეთივე
ისეთ-ი	→	ისეთივე
ყოველ-ი	→	ყოველივე

სახ.	ასეთივე	ამდენივე	ისეთივე	ყოველივე
მოთხ.	ასეთივე-მ	ამდენივე-მ	ისეთივე-მ	ყოველივე-მ
მიც.	ასეთივე-ს	ამდენივე-ს	ისეთივე-ს	ყოველივე-ს
ნათ.	ასეთივე-ს	ამდენივე-ს	ისეთივე-ს	ყოველივე-ს
მოქმ.	ასეთივე-თი	ამდენივე-თი	ისეთივე-თი	ყოველივე-თი
ვით.	ასეთივე-დ	ამდენივე-დ	ისეთივე-დ	ყოველივე-დ

ამგვარადვე იპრუნვის ეგეთივე, მაგდენივე და იმდენივე.

ნარმოვადგენთ ვე-ნაწილაკდართულ და ვე-ნაწილაკფუძიან ნაცვალსახელთა სტატისტიკურ მონაცემებს.

ვე-ნაწილაკდართული		ვე-ნაწილაკფუძიანი	
ასეთმავე	2	ასეთივემ	1
ასეთსვე	0	ასეთივეს	7
ასეთსავე	251		
ასეთითვე	1	ასეთივეთი	1
ასეთადვე	22	ასეთივედ	15
ისეთმავე	0	ისეთივემ	2
ისეთსვე	0	ისეთივეს	17
ისეთსავე	217		
ისეთითვე	0	ისეთივეთი	5
ისეთადვე	3	ისეთივედ	13
ამდენმავე	1	ამდენივემ	9
ამდენსვე	4	ამდენივეს	84
ამდენსავე	11		
ამდენითვე	18	ამდენივეთი	19
ამდენადვე	52	ამდენივედ	0
იმდენმავე	0	იმდენივემ	0
იმდენსვე	5	იმდენივეს	40
იმდენსავე	24		
იმდენითვე	3	იმდენივეთი	2
იმდენადვე	198	იმდენივედ	1
ყოველმავე	1	ყოველივემ	90
ყოველსვე	0	ყოველივეს	1878
ყოველსავე	159		
ყოვლითვე	2	ყოველივეთი	10
ყოვლადვე	78	ყოველივედ	1
ჯამი	1052 – 32.4		2195 – 67.6

როგორც საანალიზო მასალიდან ჩანს, ვე-ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები მეტია ვე-ნაწილაკდართულებზე, მაგრამ გარკვეულ ფორმებში ჭარბობს ნაწილაკდართულები (ასეთსავე, ისეთ-

**სავე, ამდენადვე, იმდენადვე).**

**ვე-ნაწილაკდართული** და **ვე-ნაწილაკფუძიანი** ფორმები ერთი სემანტიკისაა, მაგრამ მაინც არის გარკვეული ნიუანსური სხვაობა. შესაბამისად, **ვე-ნაწილაკდართული** ნაცვალსახელების **ვე-ნაწილაკფუძიანი** ვარიანტებით ჩანაცვლება დასაშვებია, მაგრამ ყოველთვის მიზანშეწონილი არ არის.

**ასეთადვე** ესახებოდა ცხოვრების ბოლო წამიც. – ჩანაცვლება: **ასეთივედ** ესახებოდა ცხოვრების ბოლო წამიც.

საგანი, როგორიც არის, **ისეთადვე** უნდა დარჩეს. – ჩანაცვლება: **ისეთივედ** უნდა დარჩეს.

სევილიას რეიესის სანაცვლოდ 29 მილიონი ევრო მისცა და, ცხადია, „რეალსაც“ **ამდენსავე** მოსთხოვენ. – ჩანაცვლება: „რეალსაც“ **ამდენივეს** მოსთხოვენ.

იქ ოცი კაცი **იმდენსავე** გააკეთებს, რამდენსაც ასი. – ჩანაცვლება: იქ ოცი კაცი **იმდენივეს** გააკეთებს...

სტატისტიკური მონაცემებისა და სემანტიკური თავისებურების საფუძველზე **ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამდენი, მაგდენი, იმდენი** და **ყოველი** ნაცვალსახელთა **ვე-ნაწილაკფუძიანი** ფორმები მიჩნეული უნდა იყოს ძირითად ვარიანტებად, ხოლო **ვე-ნაწილაკდართულები** – დასაშვებად.

**ეს ეგ, ის და იგი** ნაცვალსახელები ფუძემონაცვლენი არიან, შესაბამისად, **ვე-ნაწილაკდართული** ფორმებიც ფუძემონაცვლეა:

სახ.	ეს-ვე	ეგ-ვე	ის-ვე	იგი-ვე
მოთხ.	ამა-ნ-ვე	მაგა-ნ-ვე	იმა-ნ-ვე	მა-ნ-ვე
მიც.	ამა-ს-ვე	მაგა-ს-ვე	იმა-ს-ვე	მა-ს-ვე
ნათ.	ამ-ის-ვე	მაგ-ის-ვე	იმ-ის-ვე	მ-ის-ვე
მოქმ.	ამ-ით-ვე	მაგ-ით-ვე	იმ-ით-ვე	მ-ით-ვე
ვით.	ამა-დ-ვე	მაგა-დ-ვე	იმა-დ-ვე	[მა-დ-ვე]

**ეს ეგ, ის და იგი** ნაცვალსახელებისგან **ვე** ნაწილაკით იწარმოება ახალი ფუძეები და შესაბამისად – ნაწილაკფუძიანი ფორმები, რომლებიც ქმნიან ახალ პარადიგმებს:

ეს	->	ესვე
ეგ	->	ეგვე
ის	->	ისვე
იგი	->	იგივე

**ესვე, ეგვე და ისვე** ნაწილაკფუძიანი ნაცვალსახელები ისევე ფუძემონაცვლეა, როგორც **ეს, ეგ, ის:**

სახ.	ესვე	ეგვე	ისვე
მოთხ.	ამავე-მ	მაგავე-მ	იმავე-მ
მიც.	ამავე-ს	მაგავე-ს	იმავე-ს
ნათ.	ამავე-ს	მაგავე-ს	იმავე-ს
მოქმ.	ამავე-თი	მაგავე-თი	იმავე-თი
ვით.	ამავე-დ	მაგავე-დ	იმავე-დ

წარმოვადგენთ სტატისტიკურ მონაცემებს,

ვე-ნაწილაკდართული		ვე-ნაწილაკფუძიანი	
ამანვე	26	ამავემ	0
მაგანვე	1	მაგავემ	0
იმანვე	38	იმავემ	12
ამასვე	1122	ამავეს	65
მაგასვე	4	მაგავეს	0
იმასვე	419	იმავეს	1629
ამითვე	22	ამავეთი	14
მაგითვე	1	მაგავეთი	0
იმითვე	22	იმავეთი	14
ამადვე	1	ამავედ	0
მაგადვე	0	მაგავედ	0
იმადვე	18	იმავედ	1
ჯამი	1674 – 49%	ჯამი	1735 – 51%

როგორც მასალიდან ჩანს, ნაწილაკდართული და ნაწილაკფუძიანი ფორმები თითქმის თანაბარი რაოდენობით გამოიყენება თანამედროვე ქართულში. ამასთან, არსებობს გარკვეული სემანტიკური სხვაობა მათ შორის, ამიტომ ნაწილაკდართულ ფორმებს ვერ ჩავანაცვლებთ ნაწილაკფუძიანებით.

ჩემი დაბადების დღე დაემთხვა გიორგობას და **ამანვე** დამაბრკოლა. – აქ არ ჩაენაცვლება **ამავემ**.

სწორედ ხასიათის თავისებურებამ უნდა უპიძგოს მწვერვალისკენ, **ამანვე** უნდა გაიყოლიოს თან ნიჭიერებაც და სხვა თვისებებიც. – აქ არ ჩაენაცვლება **ამავემ**.

ვინც წაიღო, **იმანვე** მოიტანოს. – აქ არ ჩაენაცვლება **იმავემ**.

სტატისტიკური მონაცემებისა და სემანტიკური სხვაობის გამო თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ორივე წარმოების ფორმები (**იმანვე** და **იმავემ**, **იმასვე** და **იმავეს**...) მართებულ ვარიანტებად უნდა იყოს განხილული.

**იგივე** ნაცვალსახელი ფუძემონაცვლეა (სახელობითის გარდა ყველა სხვა ბრუნვაში ენაცვლება ფუძე **იმავე**): **იმავე-მ**, **იმავე-ს**, **იმავე-ს(ი)** და ა. შ. სალიტერატურო ქართულისთვის მიუღებლად არის მიჩნეული ფორმები: **იგივემ**, **იგივეს**... ეს უკანასკნელი ვარიანტები აქტიურად გამოიყენება თანამედროვე მეტყველებაში. წარმოვადგენთ სტატისტიკურ მონაცემებს:

იმავე-ფუძიანი		იგივე-ფუძიანი	
იმავემ	12	იგივემ	6
იმავეს	1629	იგივეს	3102
იმავეთი	14	იგივეთი	38
იმავედ	1	იგივედ	9
იმავეში	7	იგივეში	25
იმავეზე	37	იგივეზე	32
იმავესთან	4	იგივესთან	1
იმავესთვის	2	იგივესთვის	7
იმავესგან	0	იგივესგან	0
იმავესკენ	1	იგივესკენ	1
იმავედან	1	იგივედან	0
იმავემდე	0	იგივემდე	0
ჯამი	1708 = 35%	ჯამი	3221 = 65%

მართალია, სტატისტიკურად **იგივე-ფუძიანი** ფორმები სჭარბობს **იმავე-ფუძიანებს**, მაგრამ სალიტერატურო ენის მართებულ ვარიანტებად უნდა მივიჩნიოთ **იმავე-ფუძიანები**, რადგან **იგი ნაცვალსახელი ფუძემონაცვლეა** და **შესაბამისად**, ნაწილაკფუძიანი **იგივე-ც ფუძემონაცვლე** უნდა იყოს. პარადიგმა ასეთ სახეს მიიღებს:

- სახ. იგივე
- მოთხ. იმავე-მ
- მიც. იმავე-ს
- ნათ. იმავე-ს
- მოქ. იმავე-თი
- ვით. იმავე-დ

**იგივე** ნაცვალსახელს აქვს ნარიანი მრავლობითის ფორმა სახელობით ბრუნვაში: **იგივენი**.

ფუძემონაცვლე იქნება აგრეთვე ნაცვალსახელი **იგივე** შესიტყვებაში **ერთი და იგივე**:

- სახ. ერთი და იგივე
- მოთხ. ერთ-მა და იმავე-მ
- მიც. ერთ(-სა) და იმავე-ს
- ნათ. ერთი(-სა) და იმავე-ს(ი)
- მოქ. ერთი(-თა) და იმავე-თი
- ვით. ერთ(-სა) და იმავე-დ

რაც შეეხება რიცხვით სახელებს, მათთან მხოლოდ **ვე** ნაწილაკი გამოიყენება ფუძის წარმომქმნელ აფიქსად; ენაში დასტურდება როგორც **ვე-ნაწილაკფუძიანი**, ისე **ვე-ნაწილადართული ფორმები**:

	ნაწილაკდართული	ნაწილაკფუძიანი
სახ.	ორ-ი-ვე	ორივე
მოთხ.	ორ-მა-ვე	ორივე-მ
მიც.	ორ-ს(ა)-ვე	ორივე-ს

ნათ. ორ-ის(ა)-ვე

ორივე-ს

მოქ. ორ-ით-ვე

ორივე-თი

ვით. ორ-ად-ვე

ორივე-დ

ზოგჯერ ახალ ფუძედ გამოყენებულია თანიანი მრავლობითის ფორმა ორთავე (ორთავე-მ, ორთავე-ს...), რაც უმართებულოა.

გარკვეულ შემთხვევებში ნაწილაკდართულ და ნაწილაკფუძიან რიცხვით სახელებს ერთგვარი სემანტიკა აქვთ და თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. უმეტესწილად გვაქვს სემანტიკური სხვაობა. წარმოვადგენთ მასალას ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან და გუგლის საძიებო სისტემიდან:

„ორსავე ნაწილობრივ უკვე შესრულებული გექნებათ ეს წინა პირობა“. (ქეეკ) – აქ შესაძლოა ჩანაცვლება: ორივეს ნაწილობრივ უკვე შესრულებული გექნებათ ეს წინა პირობა.

„ცხრა საფლავი რომ გამიჭრან, დღეს ცხრაზევე გადავხტები!“ (გუგლი) – აქ შესაძლოა ჩანაცვლება: ცხრა საფლავი რომ გამიჭრან, დღეს ცხრავეზე გადავხტები!

„ხუთ სექტემბერს პოლ სარტრი და სიმონ დე ბოვუარი თბილისში ჩამოვიდნენ. ხუთშივე დაუთვალიერებიათ ქალაქი“. (ქეეკ) – აქ ხუთშივე ფორმას ვერ ჩავანაცვლებთ ხუთივეში ვარიანტით.

„სქოთის ორ მოგებას ინგლისელმა ორითვე უპასუხა“. (ქეეკ) – აქ ორითვე ფორმას ვერ ჩავანაცვლებთ ორივეთი ვარიანტით.

სტუმრებმა კარგად ისარგებლეს და მეტოქის ორ გოლს შეტევებზე ორითვე უპასუხეს. (ქეეკ) – აქ ორითვე ფორმას ვერ ჩავანაცვლებთ ორივეთი ვარიანტით.

„ეგ დილის შვიდზევე იქ იყო, გამოიძახეს და მივიდა.“ (გუგლი) – აქ შვიდზევე ფორმას ვერ ჩავანაცვლებთ შვიდივეზე ვარიანტით.

### სტატისტიკა

ვე-ნაწილაკდართული		ვე-ნაწილაკფუძიანი	
ორმავე	0	ორივემ	1670
ორსვე	6	ორივეს	4260
ორითვე	3	ორივეთი	27
ორადვე	0	ორივედ	1
ორზევე	0	ორივეზე	108
ორშივე	1	ორივეში	182
ორთანვე	0	ორივესთან	124
ორისთვისვე	0	ორივესთვის	281
ორისგანვე	0	ორივესგან	45
ჯამი	10 – 0.1%	ჯამი	6698 – 99.9%

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, ვე-ნაწილაკფუძიანი რიცხვითი სახელები რაოდენობრივად მნიშვნელოვნად მეტია ვე-ნაწილაკდართულებზე; ამიტომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული ნაწილაკფუძიანი ფორმები (ორივემ, ორივეს, ორივესთვის...), ნაწილაკდართულები (ორმავე, ორსავე, ორისთვისვე...) კი – არა. სემანტიკური სხვაობის შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ნაწილაკდართული ფორმები.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით შეიძლება ითქვას შემდეგი:

- **ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამდენი, მაგდენი, იმდენი** და **ყოველი** ნაცვალსახელებთან **ვე-ნაწილაკფუძიანი** ფორმები მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე **ვე-ნაწილაკდართულები**. ამასთან, მათ შორის არსებობს ნიუანსური სემანტიკური სხვაობა, ამიტომ მათი ჩანაცვლება ყოველთვის მიზანშეწონილი არ არის;
- **ეს, ეგ, ის** ნაცვალსახელებთან **ვე-ნაწილაკდართული** და **ნაწილაკფუძიანი** ნაცვალსახელები (**იმანვე და იმავემ, იმასვე და იმავეს...**) თანაბარი რაოდენობით გამოიყენება თანამედროვე ქართულში; არსებობს გარკვეული სემანტიკური სხვაობა **ვე-ნაწილაკდართულ** და **ნაწილაკფუძიან** ნაცვალსახელებს შორის, ამიტომ **ნაწილაკდართულ** ფორმებს ყოველთვის ვერ ჩავანაცვლებთ **ნაწილაკფუძიანებით**;
- **იგივე** ფუძისაგან წარმოებული ფორმები (**იგივემ, იგივეს...**) აქტიურად გამოიყენება თანამედროვე მეტყველებაში; რაოდენობრივად ისინი დაახლოებით ორჯერ მეტია, ვიდრე **იმავე** ფუძისაგან მიღებული ვარიანტები (**იმავემ, იმავეს...**);
- **ვე-ნაწილაკფუძიანი** რიცხვითი სახელები (**ორივემ, ორივეს...**) რაოდენობრივად მნიშვნელოვნად მეტია **ვე-ნაწილაკდართულებზე** (**ორმავე, ორსავე...**);
- **ვე-ნაწილაკფუძიანი** და **ვე-ნაწილაკდართული** რიცხვითი სახელები (**ორივემ – ორმავე, ორივეს – ორსავე...**) გარკვეულ შემთხვევებში განსხვავდება სემანტიკურად და ისინი ვერ ჩაენაცვლება ერთმანეთს.

საანალიზო მასალის საფუძველზე, **ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამდენი, მაგდენი, იმდენი** და **ყოველი** ნაცვალსახელთა **ვე-ნაწილაკფუძიანი** ფორმები (**ასეთივემ, ასეთივეს...**) მიჩნეული უნდა იყოს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ძირითად ფორმებად, ხოლო **ვე-ნაწილაკდართულები** (**ასეთმავე, ასეთსავე...**) – დასაშვებ ვარიანტებად. **ეს, ეგ, ის, იგი** ნაცვალსახელთა **ვე-ნაწილაკდართული** ფორმები (**ამანვე, იმანვე, იმასვე...**) და **ვე-ნაწილაკფუძიანები** (**ამავემ, იმავემ, იმავეს...**) თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში მართებულ ვარიანტებად უნდა იყოს განხილული; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული **ნაწილაკფუძიანი** რიცხვითი სახელები (**ორივემ, ორივეს, ორივესთვის...**), **ნაწილაკდართულები** (**ორმავე, ორსავე, ორისთვისვე...**) კი მოძველებული ფორმებია, ამიტომ ისინი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ერთეულებად არ განიხილება. სემანტიკური სხვაობის შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ რიცხვით სახელთა **ნაწილაკდართული** ფორმები.